

# ლიბეია

№ 1.

ორკვირეული ღამათება.

1918

ვალაკტონ ტაბიძე

## „შენი ღიმილი...“

(ნაწყვეტი ალბომიდან).

...შენი ღიმილით ლეონარდო — და — ვინჩის ხელის მე არ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება; მაგრამ მე უფრო სვედიანი რამე ვიხილე — შენი სიკვდილი, შენი აღრე დასაფლავება.

ქეთევანის იხიბი  
შენი ღიმილი...  
„...“  
ი. ვ. ვრიშაშვილი

7/131

შენი ღიმილი დაემგზა მზეს, იტალიის, ტორკვატოს ცის ქვეშ შენ გელოდნენ დიდი მხატვრები... იქ ყველა (კიურ აღმაფრენის ცეცხლით მიფრალია. მაგრამ შენ მათი ხელოვნებით ვეღარ დათვრები!

შენს ღიმილს მე თან გავატანე ბედნიერება — სიყვარულიდან გავატანე, რაც კი რამ მქონდა, მაგრამ ღიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან, როგორც ლუვრიდან გაიტაცეს შორს ჯიოკონდა!..  
1916 წ. აპრილი.

ხარიტონ ვარდოშვილი

## სტრიქულეტი

(რვეულიდან: „ანატრი იეტი“).

დაფერფლილ იმედს მთის ბოროო გაანიავენს და ვერ ვიხილავ სულის ბაღში ტრფობის ნაზ-იებს. მკრთალი სიცოცხლე იორგულეებს და სულ იავენს; დაფერფლილ იმედს მთის ბოროო გაანიავენს. დაქანცულ ფიქრებს დამის ღანდი ულოლიავენს სიკვდილის ჩრდილი ჩაეკვრება გულს განაცეებს. დაფერფლილ იმედს მთის ბოროო გაანიავენს და ვერ ვიხილავ სულის ბაღში ტრფობის ნაზ-იებს.



ვალერიან გაფრინდაშვილი.

### მანისის ტრიოლუტავი.

1.

ჩემმა ოცნებამ ქართველებს თავი უღარა,  
ჰაშიშით მსგავსად აამღვრია ჩემი იღბალი,  
ნიაშიორ წუთის არ ისმინა ნორჩი მუდარა;  
ჩემმა ოცნებამ ქართველებს თავი უღარა  
და გაალმერთა ყელქირკება, ქლექი, სუღარა,  
გამაამაყა მე—უძლოური, ვით ჰანიბალი;  
ჩემმა ოცნებამ ქართველებს თავი უღარა,  
ჰაშიშით მსგავსად აამღვრია ჩემი იღბალი.

2.

მე ღვთაებრივი კოშმარები ისევ მომელის,  
კეთროვანების უნდა შევსვა მე ავშარაჯი,  
რომ არ დადუმდეს საზეიმო ხმა ორთომელის.  
მე ღვთაებრივი კოშმარები ისევ მომელის  
და ოფელია - მწუჭურება ხილვა რომელის.  
— ვარ გრძნეულების მოტრფიალე, ჩუმი დარაჯი.  
— მე ღვთაებრივი კოშმარები ისევ მომელის,  
კეთროვანების უნდა შევსვა მე ავშარაჯი.

3.

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი;  
— შენ სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფებურა,  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
— მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მცხურა,  
ეტროდი ხარბათ—მარტოობით ნალერსალი.  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.  
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი!

ივ. სოსნიძე # 285. 1915 წ. / 26

## რ ე ა

— რე...

ასე ეძახდნ მას, რომელმაც ჩემს ცხოვრებას გაზაფხულის სიმზარულსთან ზამთრის თეთრი არშიაც შემოახვია; ვინაც ააყვავილა ჩემი სიკვამლის უფერული დღეები და ღამის შავი მღუმარებით დაფარა ისინი...

— რე...

ეს ხომ ჩემი გულის ძგერაა, ჩემი სუნთქვა, ჩემი გრძნობათა სხივოსნობა, სულის აღმაფრენა!...

— რე.

ეს ხომ ჩემი დაფერფლილი სამსხვერპლოა, გაცრუებული იმედები, დამსხვრეული გრძნობათა იაღქნები, მშვენიერ-საშინელი სიკრუე ჩემი ცხოვრებისა.

ეს სახელი აკვანი და სასაფლაოა ჩემი გრძნობათა ყვავილნარის...

...და ამ ღამით, როდესაც ჩემი ფიქრები გზა აბნეულ ნისლივით მიუსაფარათ და წინალობნ მოგონებათა გაქვავებულ ხეივანში,



უსახო კოშმარის კლანქები ღრმათ ჩასკიდებია ჩემს ტვინს; გულის სიღრმიდან ამოხეთქილი უფერო საშინელება საფეთქელში სცემს, ამღვრევს ჩემს აზრთა წყობას და ჩემს კარგებზე სიკვდილის დამპალი თითები შავ ლაქებს ხახავენ ყრუ ღამეში—

მე მინდა უკანასკნელი ჩემი სიტყვა იყოს მაზე, ვინც მიყვარდა, ვინც მიყვარდა, ვინც სულ მახსოვდა, სულ...

—რეა...

...პირველათ ვიხილე მე ის...

არა, თვით ის არ მინახავს პირველათ მე მხოლოდ სახება ვნახე მისი. თვით კი სად იყო, ვინ იყო, სადაური ან ვისი—

—მე არ ვიციოდი ეს.

ვიცი რომ ერთხელ

—როცა ზამთრის სიცივით ათრთოლებული გბრუნდებოდი შინ თვალი მოგვარა ლამაზ ჩარჩოში გამოფენილ სურათებთან ერთათ —

— მის სურათსაც...

მე მახსოვს, —როცა დიდ ქალაქთან ბრძოლით დაქანცული უბრუნდებოდი ჩემს მებრუნებულ სართულს— მისი სურათი დაგინახე.

დაგინახე, დავაცქერდი—

— გამოთბო მის თვალითა სხივოსნობამ... და გაყინული ცეკვა შესწყვიტეს კბილებმა.

— რადგან მე უცქერდი მის სურათს, უცხოს, ახლო-შორებულ სახეებს...

...გაბედულათ შეველ სახელოსნოში და სურათის პირი შეუკვეთეთ.

— აი ის — უხეხარი მე — თბილი თვალები რომ აქვს...

და განვლო დღეებმა.

ცივი ზამთრის სიმღნჯე გასაფხულის ფოთოლითა ტამისცემამ შესცვალა. ის სურათი მითბობდა მე ყრუ დღეებს, როცა ზამთრის სუსხი ოთახის ფანჯარას გბრძოდა და ღამის ცივი ლანდები კედლებზე ტურნირობდნენ.

რამდენი ღამე გავატარე შენთან საუბარში, რეა... რამდენი!..

შენი სურათის წინ ვიდექ, რეა იმ დამობით და... ჩვენ ვსაუბრობდით, დიახ, ვსაუბრობდით შორი-შორს —

— მე ხომ ერთხელაც არ მიკაცნია სუ-

რათისათვის, ჩემო რეა, არა—ჩემი ამბორხ ომი დასწავდა მას... და მე, მეშინოდა.

...და როდესაც შენ გიხილე ქალაქის ერთ შორეულ ქუჩაში—მაშინ გზის კიდე მდგარი ქლექიანი კვაპაროსებიც მაისობდნენ— გახსოვს — მე გული წამივიდა, თავბრუ დამესხა.

არვინ იყო, რეა, იქ ამ დროს.

— ახ, ღმერთო — შეკრთომით წამოვიძახე მე—უნებურათ.

შენს წინ დავეცი.

შენ გაიარე ცოტა... ისევ მობრუნდი და—

—თქვენ ავათა ხართ—მიხბარ მე—გული წავივიდათ; აი უწყოსეთ—და პაწია სურნელოვანი შუშა გამომწოდეთ...

...შემდეგ შემიყვარდა შენი ქუჩა, რეა—ქალაქიდან, თუ ქალაქში—მე სულ იმ ქუჩით დავდიოდი და მახსოვს ერთხელ დაგინახე და—

— ეს თქვენი სურათი ხომ არ არის?— გითხარ მე.

— შემთხვევით ვნახე..

როგორ გავგვიკვირდა, როგორ ანთო შენი თვალები.

— დიახ, ჩემია სად ნახეთ?

— აი, იქ ქუჩის ყურას, ჩასახვევში.

გამომართვი სურათი, —

— გამაღობთ—მიხბარი და ჩქარი ნაბიჯით წადი.

და მაგონდება კიდევ..

მე მოვიტოე ერთხელ შენს სახლთან; მოშორებით დავდექ მიდლოდი სადღაც და შეგხვდი, გაიღიმე, მომესალმე.

— როგორ გძმნობთ თავს—მკითხე შენ.

— გამაღობთ, კარგათ, მაგრამ.. იციოთ. დამიბრუნეთ ის სურათი.. მას ისე.. მივჩევიე დამიბრუნეთ, ანდა ნება მომეცით ხშირათ ვიარო თქვენს.. ქუჩაზე, არა, თქვენს...

მე არ მახსოვს რა ვსთქვი კიდევ. ჩვენ მივდიოდით ლაპარაკით. მახსოვს—

— შენ სახლში მიმიწვიე.

— ჩვენ ისე ვლაპარაკობთ—თითქოს წინეთ გვცოდნოდეს ერთმანეთი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ვყოფილიყავით— სთქვი.

— და როდესაც შემოდგომა დააქნო თქვენს ბაღში ყვავილნარია—



— მაშინ ჩენი სიყვარულია გაზაფხულდა, შემოდგომაზე გაგვიზაფხულდა ჩვენ, რეა.

მოგვიტაცა ჩვენ სიყვარულის ნიაღვარმა, მთელი წელი ერთად გავატარეთ—

— ჩენი სწრაფვა ხომ სიყვარულმა დააგვირგვინა, რეა. — დაშენხომ ჩემი იყავი, ჩემი, რეა.

== მაგრამ...

მეშინია მოგონების, იმ საშინელი ავით-მყოფობის შემდეგ შენი მოგონება მეშინია —

— გონება იღვრევა და ცხელ ტვინს კვლავ უახლოვდება შესლილობის უფერულობა და და ეს ხომ მეტი საშინელებაა—ღმერთო, მეშინოდეს შენი მოგონების, მაგრამ.

— შენ მალე დაიწვი სიყვარულის სამსხვერპლოზე, ისე მალე დაიფერდლე. ისე აღრე. „ხომ არ დამივიწყებ“—

— უკანასკნელათ სთქვი შენ და-განშორდი (ხოვრებას, ჩემო რეა. და ბვალდახუჭულმა გაციებულათ შემომხვიე შენი ხელები.. უკანასკნელათ.

- ხომ არ დამივიწყებ?!

მახსოვს ეს სიტყვები, კარგათ მახსოვს ეხლაც. და ატირდა შენს საფლავზე მზიანი დღეებში. მე კი.

ალბათ მე არ ვსტიროდი იმ დროს, ჰა,ჰა. აღმაინები ხომ მაშინაც სტირიან, მოშინა-ურებელი ფინია, რომ მოუკვდებათ, ან კი-ღმე...

როდის არ სტირიან ისინი. ხომ ასეთი იაფიად ცრემლი.. და მე არ ვსტიროდი. არა.

შე შორეულ ქუჩებში დავებტებოდდი, ვით ღამის ნისლი. და შემდეგ.. როცა ერთ-ხელ ქალაქის გარეთ ლოთებმა ყავახანაში შემიატარეს—მიველ მათთან.

და აღარ მახსოვს, როგორ დავბრუნდი შინ. თავითფერი ალბათ. და ასე გავიდა თეთრი ზამთრის ერთ ფეროვანი დღეები.

... მე არ მახსოვს როგორ მოხდა ეს. გონება ჩემი დასუსტდა მას შემდეგ და, ეხლა, როცა „ყვითელი კოშმარის“ საშინელებას თავი დავახწვი—მინდა ადვადგინო ის სურათი, მოვიგონო თუ რა მოხდა იმ ღამეს, როცა მთელი კვირის ღოთობით დაღლილი სახლში დავბრუნდი. კარგათ არ მახსოვს.

დაბრუნებისას შევნიშნე ქუჩიდან-სინათ-ლე იყო იყო ჩემს ოთახში. და როცა აბნეუ-ლი ნაბიჯით კიბეზე ავედი შევალე კარი—

იქ შენ ისხედი, ჩემს ოთახში თეთრად მოლიმარე ს ნთელთან, თეთრში, მოწყენილი, ნაწამებთი სახით.

მგონი ასე იყო. არ მახსოვს კარგათ.

მაგონდება— ვიყვირე დავეცი. თვალთ დამიბნეულა. მომესმა მხოლოთ სუსტი —

— „არ დამივიწყო“.

და შემდეგ... შემდეგ ალბათ მე შემლი-ლათ მიცენეს. აბა რას ნიშნავს ეს მოწმობა— ექიმებმა რომ მომცეს. იქ ხომ სწერია, რომ მე ერთი წელი შემლილთა სახლში გავატა-რე.

ეს აქ სწერია.

და ყვითელი კოშმარი ეხლაც ნისლით ზურავს ჩემს გონებას.

— რეა, ჩემო რეა!.

ამ ღამეს, როცა ჯერ კიდევ სახვებით გონება არ დამკარგია, როცა შეიძლება ყვე-ლა ეს, რასაც ეხლა ვსწერ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი სტრიქონები იყვეს. —

— მე მინდა ერთხელ კიდევ დავხელო შენს სურათს... ერთხელ კიდევ, რადგან დღეს, ამ წუთში ნათელია ჩემი გონება.

ერთხელ კიდევ...

სანთლის მთვრალი ღონდები ჩემს ოთახში ცეკვენ, დარბიან და ერთმანეთს ეხვევიან... თეთრი აჩრდილები დაქირან გარეთ— მგონი ფანჯრებს შემოსტებენ.

მე ვხედავ მათ კლანჭებიან თითებს.

მე მეშინია, რეა...

მეშინია იმ შრილისის, იმ კლანჭების, ამ ღანდთა ცეკვის...

და ამ ღამეს, როცა შენი მოგონებით ისევ აენტო ჩემი აზრის სანთლები ერთხელ კიდევ მინდა დავხელო შენს სურათს და გით-ხრა.—

— მუღან მახსოვდი, რეა...სულ.

.. იქნებ შემოსტებოს მოჩვენებათ ჯარმა ფანჯრები. იქნებ საშინელი კლანჭებით ამო-კორტონ აწ სიცივით მოკული ტვინი, გონე-ბა დამიხშონ ღა. —



— ყველაფერი დამავიწყდეს.  
 — როგორც იმ ღამეს — ჩემს ოთახში  
 რომ სანთელთან მოწყენილი დაგინახე  
 იქნებ ყველაფერი დამავიწყდეს და —  
 გაიგონე, რვა, თუ სადმე ხარ —  
 — მე სულ მახსოვდი, სულ... „არ და-  
 მივიწყო“...

... თეთრი ლანდები მეხვევიან გარს, აი  
 ხელს მიკერენ ყელზე... თავში... კლანჭები...  
 გაყინული თითები... გაციებულნი, დამპალი თი-  
 თები...

გაიგონე, რვა.

— სულ მახსოვდი, სულ, სულ.

— რვა!..

ნ. მიწისფილი.

**შალვა კარმელი.**

**ღამის ღარბაზი.**

მთვარისქვით ნაგებ ღამის ღარბაზებს  
 ქარი შესტირის არალუღებში,  
 ნარდ-ქანდრაკების გაე ყომარბაზებს  
 ჩასძინებია მთვრალ აშუღებში.

მოღლილ მხედართა ხმალ მუზარადის  
 მეფობს სიჩუმე საფარშუბოში,  
 და ისვენებენ აწ და მარადის  
 სუსტი ლანდები ღამის კუბოში!..

ღამის ღარბაზი, როგორც ქალდეა,  
 მზის სამშობლოა ცხელ სატურნებით,  
 მაგრამ დღეს ვილაც მებოძალდეა  
 შიგ დანადრში წყევის ზურნებით.

მომკვდარა ცეცხლის მოასპარეზე,  
 ხომლიც გასცლია ღრუბლის ჩარჩოვებს,  
 ველარ ავკვეთავ ქალწულ მთვარეზე  
 ქარვის დობილის ტანს უფარჩოვებს!

სიკვდილის მანვა სცემს ქარვასლებში,  
 ყრუდ მეტყველობენ მყოფი ყაფნები,  
 ღამე იჭრება სულის ასლებში, —  
 ღამის ღარბაზში მე ვიდაფნები!..

**შაჰოღაძოვის ჯვითალ ღაზანდაგიდან.**

ა.

ერთს ძველ მონასტერში. რომელიც მთა-  
 ში ძველთა გაშენებულია, ერთ ყურეში  
 ძვარფასი ხატი ჰკიდია. დიდის ხელოვნებით  
 არის ნაკეთები ეს ხატება, რომელიც ახალ-  
 გაზდა ასულს წარმოადგენს. ძვირფასი თვლე-  
 ბით შემკული, შარავანლით მოსილი იგი დიდს  
 შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. მისი ღა-

გიაზი თვალები სველით გამოიყურება, სათნო  
 სახე ღმობიერებით აღსავსე ადამიანს აჯადო-  
 ვებს, ამიტომ მლოცველები ასე გულმოდგი-  
 ნეთ ეშვებიან მის წინ, და მის კანდელში უქ-  
 რობ იწვის ზეთი, მის წინ ყოველთვის ანთია  
 სანთელი. არავინ იცის ამ ხატის სახელი, მა-  
 რა ყველა მოწიწებით ეპყრობა. არავის უნა-  
 ხავს მისი სასწაული, მარა ყველა სასწაულ-  
 მომკმედს უწოდებს.



შრავლს ახსოვს ის ბერი, ის ახალგაზდა ბერი, რომელიც მის წინ ხშირათ იყო დამხობილი! მონასტერში ყველას ახსოვს, როგორ სასოებით ლოცულობდა იგი—წმინდა ასულის წინაშე.

გარდაიცვალა ბერი და ხატი დარჩა. ის ხატი თვით იმ ბერამ მოიტანა; მაშინ ის ახალგაზრდა იყო, როცა ის ხატი მოიტანა და სასოებით ბერათ აღკვეცილი, მხოლოდ იმ ხატის წინ ამბობდა ლოცვას, ღვრიდა ცრემლებს.

არაფინ იცოდა საიდან იყო ის ბერი, ან რისთვის აღკვეცილიყო, ასე ახალგაზდა.

ლოცვის შემდეგ იგი მთაღრეში სვედით დახტილობდა.

ხშირათ უნახავთ იგი ხეობაში მდინარის პირას ჩაფიქრებული, მის ტალღებთან მოჩურჩულე.

მარა ყველაზე უფრო მას შემოდგომის ყვითელი ღღებები უყვარდა, როცა შემოდგომის ყვითელი მზის სხივები მთის ფერდობებს ყვითელ ჭრუანტელში გახვევდა და კენსით სვედიანს შეიპყრობდა. ამ დროს იგი ხადმე კლდეზე მდინარის პირას გაწვევობდა და არე-მარეს თავს ევლებოდა. მას გაახსენდებოდა ის შემოდგომის შავი ღამე, როცა მან ვადასწყვიტა განდევილობა, გაახსენდებოდა ის ყვითელი სვედა, რომელმაც მისი გული დაღრღნა და ცრემლებით რწყავდა ყვითელ ბალახებს.

შემოდგომამ იგი მოიტაცა, რადგან გაზაფხულს მან ყველაფერი მისცა. ცხოვრების გაზაფხულს მან მისცა სიცოცხლე. სიხარული თვისი სიკაბუკე და როცა ცხოვრებას სამაგიეროდ ვარდი სთხოვა, მან შემოდგომის ყვითელი ფოთოლი მისცა და გული დაუხარა. ისიც მადლიერი შეხვდა ამას და შემოდგომა შეიყვარა, შეიყვარა მისი სიყვითლე, მისი იღუმალობა, მისი სისუსტე და მთას მიაშურა იმ განძით, რომელიც ცხოვრებამ მისთვის გაიშეცა. მან თან წაიღო გაზაფხული თვისი ცხოვრების, რომელიც მისთვის შემოდგომა შეიქნა. შემოდგომის შავი, გრძელი ღამეები გულთთ თან წაიღო და მთაში წავიდა.

ბერად აღკვეცილი, იგი არასოდეს ბერივით არ ცხოვრობდა. მისი სვედიანი თვალები

ყველას ინადირებდა. მისი ქცევა ყველას იზიდავდა. მას ყველა ხატით ეპყრობოდა. ბევრჯერ სცადეს მასთან გამოლაპარაკება, გაგება მისი ვინაობისა, მისი ცხოვრებისა მარა იგი მუნჯი იყო—ვით სტინქსი.

ცხრა წელიწადი სცხოვრებდა იგი ბერი მონასტერში და ხალხის ვადმოცემით ცხრა სიტყვა არ უთქვამს. იგი თვისი მოტანილი ხატის წინ იყო დამხობილი და ლოცულობდა და ხალხმაც ამიტომ შეიყვარა მისი მოტანილი ხატი.

იგი რომ ლოცვილობდა—ქეთონებდა და ეს ქეთონი მას სწავდა, ისე, როგორც სანთელს. იგი თანდათან იწვოდა თვისი ხატის წინ და შემოდგომის ერთ საღამოს იგი სამუდამოთ ჩაქრა. ღიმი უკრაოდა ტუჩებზე, მისი თვალები კი ისევ სვედით თვის ხატს მისჩერებოდა.

მისჩერებოდა და ილიმოდა.

## II

— დედი, რა ლამაზი ხატია, ამას აუნთოთ სანთელი, შესძახა ცურუმელი გოგონამ დედას, რომელიც მონასტერში ყვითელ შემოდგომაზე სლოცავათ ამოსულიყო.—დედი, როგორა გვაგეს ეს ხატი შენა, კიდევ მიაძახა დედას და ხატს მიაშტერდა. მანდილოსანი მობრუნდა და შეკრთა.

— ეს ხომ მართლა მისი საკუთარი სახეა... მისი. შერე საიდან?! ხატს მიაშტერდა და... იგი მიხვდა ყველაფერს. მიხვდა.

გაახსენდა თვისი უარყოფილი სატრფო, რომელიც ამ მონასტერში იყო ბერათ. გაახსენდა და ყველაფერს მიხვდა.

მიხვდა და ხატის წინ დეშო. მუხლმოდრეკით დეშო და ქეთონი წასცა.

ააწა გოგონა დედას მიუახლოვდა, კისერზე მოეხვია და მანაც ქეთონი ამოუშვა... ყვითლათ კიაფობდენ სანთელნი მონასტერში.

დედა-შვილი კი კუთხეში ხატის წინ ერთმანეთს გულში ჩაკვროდენ და ქეთონებდენ...

ღია ჩინელი.

გრიგოლ ცეცხლაძე.

## აპი სიფარკავი.

რკალიდან „ლიბრედი ლანდები“.

დაღლილ ფაქრების ვიარები მე თხილამუჭრბ  
 სიზმრებში მტანჯავს დაუნდობლათ ლამის მორვეი  
 ედემში შევალ-- ანგელოზნი მიცქერენ შურით,  
 ხან ჯოჯოხეთში სტუმარივით გამოვეგრვი...  
 ვნახავ მეგობარს სიყრმიდანვე მე რომ მიყვარდა  
 გუშინ რომ მიწას მივაბარეთ— იქ ჩემს წინ დგანა,  
 არაფერს ამბობს ღამისფერი სიჩუმის გარდა  
 და მე კი მესმის: „მიმატოვეთ საფლავში ვანა?!...“  
 მეღმერთივით ვარ, ჩემთვის ნურვინ ნუ შესწუხდება...  
 იცვლება წამი.. თითქოს მე ვარ ბოროტ ქუჩაზე.  
 შედგა დამწვარი მათხოვარის ბინძურ ძონძეებით  
 დღეებს ვალამებ პირუტყვივით ერთ ალუჩაზე,  
 მოდის ჭამელელი და მამცირებს გრომის ბოძებით;  
 არ მცილდებიან აბეჯარი ქუჩის ბიჭები.

„ნ. სხარტის ქაბი“ №150  
 1918 წ. (31 იანვარი)

„ნ. სხარტის ქაბი“  
 №192. 1918 წ.  
 (14 აპრილი)

მათთვის ვეცეულვარ მე არტისტათ, ქუჩა თვატრათ,  
 და თუ ავიღე სასროლელოთ ქვების კენჭები.  
 საიყვეში მყოფს ბნელი ქუჩაც შემეჩნა ნატვრათ...  
 და გაყინებულ ხელკებიდან სისხლს იწმენდს ფურათხით  
 განაგრძობს ისევ: „ტაში, ტაში! რა მდნარდება,  
 მოთხარით გიყვებს რატომ სდევნით, არ რატომ უფრთხით!..  
 შავი ხავერდის ტანსაცმელი მსურს შევიკერო  
 ჩემს წითურ სახეს, მეგობარო, ხომ მოუხდება..  
 სეფედარბაზი.. დელოფალი.. დედნი.. პიერო..  
 გაჰქრა... მაგრამ ჩუ!... სულ სხვა სახე აქ ინაკეთება—  
 წითელი თმები აბურძგვილი, თვალ ამღვრელი,  
 ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი ფეხს ეხლართება,  
 ის სდუმს მე მესმის. „არ მიწოდო გადარეული!...  
 მზემ ფეხი დამწვა. ნეტა როდის გაავადარდება!..  
 მინდა ვიტროო — თვალზე ცრემლი გამეყინება,  
 მსურს აქვითონდე, ავატირო ცრემლებით სხვები,  
 საშუდამოთაც რომ დაბნელდეს არ მეწყინება  
 არ მენანება ძვირფასი მზის ოქროს სხივები.  
 ასე მაწამებს ავ სიზმრებში ავი ბურანი,  
 შიშით და თრთოლვით აისხე რომ გამეღვიძება—  
 თუმცა მე არა მწამს სახარება და არც ყურანი  
 უცებ მატყვევებს საიქიოს ჟღერით ძიება.



რ ა ჟ დ ე ნ   გ ვ ე ბ ა ქ ი

## აგარსისფერ წარსულიდან.

თმა ვადღებარცხნე, წაიხსენი ფერუშარული,  
 (ანაზღათ მნახი—სარაყიფოდ თვალს აინთებდა)  
 მწყზარათ მხიბლავდა ყოველივე, —როგორც მარულა,  
 და უცხოთ მორთულს სიამაყე მარაინდებდა.  
 შენ მოგვლადი, და მოხვედი არიფი ქალი,  
 ლამაზ ფერხთაქვეშ გავიშალე მუქი ხალიჩა;  
 კოცნით მოგირთე ძუძუ-მკერდი თეთრი ფიქალი,  
 და ჩვენი გრძნობა ნუნჯმა ენებამ დაახალიჩა.  
 შენის ბრძანებით—ხელთ ავიღე მღუმარე არფა—  
 ავამეტყველე გიჟურ გრძნობით სიმების ალტი.  
 ალალისფერდა შენს სახეზე ნიშატად სარფა, —  
 და შემომაქვედ შეშველ ყელზე მკლავების სალტი.  
 დაღუმდა არფა... მხოლოდ კოცნის ხმა არაკობდა,  
 გიჟურ წუთების—ჯამბაზურათ ხელთ გვეპყრა კვერთხი.  
 ვიგრძენი: ყრმობა ტრფობის ტონათ რომ ზეარაკობდა,  
 და შენს ფერხთაქვეშ დათენთილი უხმოთ განვერთხე.  
 შენ გაგეცინა... და, წახვედი გულქვა ფასკუნჯი,  
 მე მხოლოდ დამრჩა დათრთვილური ყრმობის არღენა.  
 ვგლოვბდი უხმოთ, რომ დაჰკვარგე ძვირფასი უნჯი,  
 და ვქვითინებდი თვალ ნანესტი—როგორც ბალანა...  
 ეჰ! რა ვიცოდი—შენსა ტანსა ზარიფსა—მავრა:  
 სხვის სარეცელზეც განეცადა ნასი დრანჯობა.  
 როს გაგიცანი რა უბრყვილოთ გიძღვენი სტავრა,  
 მაგრამ მოვსტყუედი: სიგულწრფელეს—თნებამ აჯობა.  
 და ვექებ, მაგრამ... ველარ ვბოე ყრმობის ამარტი,  
 ბრწყინვალე ოდეს, როგორც დენდი—დღეს უსახური  
 ენების სეფქათინ დაკოდილი დავდივარ მარტო,  
 და ენატრობ წარსულს, ვით ბედიითი მიფე—მსახური.